ქორეოგრაფიული პრაქტიკული მეცადინეობების უსაფრთხოებისა და ჰიგიენის სტანდარტები და წესები

ქორეოგრაფიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დანართი

1. ზოგადი დებულებები

1.1. წინამდებარე დოკუმენტი განსაზღვრავს ქორეოგრაფიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში პრაქტიკული მეცადინეობების, რეპეტიციების, სასწავლო პრაქტიკისა და სხვა ქორეოგრაფიული აქტივობების დროს უსაფრთხოების, ტრავმის პრევენციის, პირადი ჰიგიენისა და სასწავლო სივრცის სანიტარიული წესების ძირითად მოთხოვნებს.

1.2. დოკუმენტის მიზანია სტუდენტების, აბიტურიენტებისა და ქორეოგრაფიულ პრაქტიკულ საქმიანობაში ჩართული სხვა პირების ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვა, უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა და სტუდენტებში პროფესიული პასუხისმგებლობის კულტურის ჩამოყალიბება.

1.3. წესები ვრცელდება სტუდენტებზე, აბიტურიენტებზე, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალზე, ასისტენტებზე, აკომპანიატორებზე, აგრეთვე ყველა სხვა პირზე, რომელიც მონაწილეობს ქორეოგრაფიულ პრაქტიკულ საქმიანობაში ან იმყოფება ქორეოგრაფიულ სასწავლო სივრცეში.

1.4. დოკუმენტი ეფუძნება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-6 დონისთვის დამახასიათებელ პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის პრინციპებს და ქორეოგრაფიის უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებელს. შესაბამისად, სტუდენტი ეტაპობრივად ავითარებს საკუთარი და ჯგუფის უსაფრთხოებისადმი პასუხისმგებლიან დამოკიდებულებას, თვითორგანიზებას, პროფესიული ეთიკისა და გუნდური მუშაობის პრინციპების დაცვას.

1.5. უსაფრთხოების წესების დაცვა ქორეოგრაფიულ პრაქტიკულ საქმიანობაში ჩართული ყველა პირის ვალდებულებაა. პედაგოგი ან შესაბამისი აქტივობის პასუხისმგებელი პირი ორგანიზებას უწევს პრაქტიკულ მეცადინეობას, შემოქმედებით ტურს ან სხვა პრაქტიკულ აქტივობას უსაფრთხოების მოთხოვნების გათვალისწინებით, ხოლო სტუდენტი და აბიტურიენტი ვალდებული არიან დაიცვან მითითებები და დროულად აცნობონ პასუხისმგებელ პირს საფრთხის, ტრავმის, ტკივილის ან ტექნიკური გაუმართაობის შესახებ.

1.6. დოკუმენტი წარმოადგენს საგანმანათლებლო პროგრამის თანდართულ ნორმატიულ დოკუმენტს, ქვეყნდება უნივერსიტეტის შესაბამის ვებგვერდზე და ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის, აბიტურიენტებისთვის, პროგრამაში ჩართული პერსონალისა და სხვა დაინტერესებული პირებისთვის.

2. ქორეოგრაფიული სივრცისა და მატერიალურ-ტექნიკური გარემოს უსაფრთხოება

2.1. პრაქტიკული მეცადინეობა ტარდება ქორეოგრაფიული საქმიანობისთვის განკუთვნილ, მოწესრიგებულ და უსაფრთხო სივრცეში.

2.2. ქორეოგრაფიული დარბაზის დატვირთვისას გათვალისწინებული უნდა იყოს ქორეოგრაფიის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრული მოთხოვნა — ერთ სტუდენტზე არანაკლებ 4 კვ.მ ფართი.

2.3. დარბაზში უნდა იყოს ქორეოგრაფიული საქმიანობისთვის შესაბამისი საცეკვაო იატაკი (ხის იატაკი ან სპეციალიზებული საფარი), უსაფრთხოდ დამაგრებული და/ან პორტატული ძელი და კედლის სარკეები. იატაკი უნდა იყოს სუფთა, მშრალი, დაზიანებისა და მოძრაობის შემაფერხებელი საგნებისგან თავისუფალი.

2.4. შესასვლელი, გასასვლელი და საევაკუაციო მარშრუტი უნდა იყოს თავისუფალი. დაუშვებელია მათი ინვენტარით, ჩანთებით, რეკვიზიტით ან სხვა საგნებით ჩახერგვა.

2.5. მეცადინეობის დაწყებამდე მოწმდება განათება, განიავება, სისუფთავე, აუდიო/ელექტრო აპარატურისა და ხილული ელექტროსადენების მდგომარეობა. გამოვლენილი ხარვეზის შემთხვევაში მოწყობილობა არ გამოიყენება და ინფორმაცია მიეწოდება პასუხისმგებელ პირს.

2.6. პრაქტიკული მეცადინეობის დროს სამუშაო სივრცის ტემპერატურა არ უნდა იყოს 18–19°C-ზე დაბალი, როგორც ამას ქორეოგრაფიის დარგობრივი მახასიათებელი ითვალისწინებს.

2.7. ელექტრო და აუდიო მოწყობილობების თვითნებური შეკეთება ან გაუმართავი მოწყობილობის გამოყენება დაუშვებელია.

2.8. დარბაზში ხელმისაწვდომი უნდა იყოს პირველადი დახმარების ნაკრები. მისი კომპლექტაცია, შენახვა და გამოყენება ხორციელდება უნივერსიტეტში მოქმედი წესების შესაბამისად.

3. პირადი ჰიგიენა, ტანსაცმელი და ფეხსაცმელი

3.1. სტუდენტი და აბიტურიენტი პრაქტიკულ მეცადინეობაზე, შემოქმედებით ტურზე ან სხვა პრაქტიკულ აქტივობაზე უნდა გამოცხადდნენ სუფთა, მოწესრიგებული და კონკრეტული აქტივობისთვის შესაბამისი საცეკვაო ტანსაცმლითა და ფეხსაცმლით.

3.2. საცეკვაო ტანსაცმელი უნდა იყოს მსუბუქი, ელასტიური, სადა და მოძრაობისთვის კომფორტული; არ უნდა შეიცავდეს ისეთ დეტალებს, რომლებიც ზღუდავს მოძრაობას ან ქმნის ტრავმის რისკს.

3.3. ფეხსაცმელი შეირჩევა სასწავლო კურსის, ცეკვის სახეობის, შესასრულებელი მოძრაობისა და პედაგოგის მეთოდური მითითების შესაბამისად; იგი უნდა იყოს სუფთა, გამართული და უსაფრთხო.

3.4. გრძელი თმა უნდა იყოს შეკრული ისე, რომ არ უშლიდეს ხელს მოძრაობას, მხედველობასა და პარტნიორულ მუშაობას.

3.5. მეცადინეობის დაწყებამდე იხსნება საათი, ყელსაბამი, სამაჯური, დიდი ზომის საყურე, ბეჭედი და სხვა აქსესუარი, რომელმაც მოძრაობისას შეიძლება შექმნას ტრავმის ან დაზიანების საფრთხე.

3.6. დარბაზსა და გასახდელში დაცული უნდა იყოს სისუფთავე. პირადი ნივთები თავსდება მათთვის განკუთვნილ ადგილზე და არ უნდა ქმნიდეს გადაადგილების დაბრკოლებას.

3.7. საცეკვაო სივრცეში დაუშვებელია საკვების მიღება და საღეჭი რეზინის ღეჭვა. წყლის მიღება დასაშვებია უსაფრთხოდ გამოყოფილ ადგილას, ისე, რომ სითხე არ დაიღვაროს საცეკვაო იატაკზე.

3.8. მძაფრი სუნის მქონე პარფიუმერული საშუალებების ჭარბი გამოყენება პრაქტიკულ მეცადინეობაზე არ არის რეკომენდებული, განსაკუთრებით საერთო დახურულ სივრცეში.

4. უსაფრთხოების მოთხოვნები პრაქტიკული მეცადინეობის დაწყებამდე

4.1. პედაგოგი ან პასუხისმგებელი პირი ვიზუალურად ამოწმებს სასწავლო სივრცის მზადყოფნას: იატაკს, თავისუფალ სამუშაო ზონას, ძელს, სარკეებს, განათებას, განიავებასა და გამოყენებისთვის განკუთვნილ ინვენტარს/რეკვიზიტს.

4.2. სტუდენტი ან აბიტურიენტი ვალდებულია პრაქტიკული აქტივობის დაწყებამდე აცნობოს პედაგოგს ან პასუხისმგებელ პირს იმ ტკივილის, ტრავმის, ფიზიკური დისკომფორტის ან სხვა მდგომარეობის შესახებ, რომელმაც შეიძლება ხელი შეუშალოს უსაფრთხო მოძრაობას. პასუხისმგებელი პირი აღნიშნული ინფორმაციის გათვალისწინებით განსაზღვრავს აქტივობაში ჩართულობის ფორმას თავისი კომპეტენციის ფარგლებში.

4.3. დაგვიანებით მოსული სტუდენტი, ხოლო შემოქმედებითი ტურის ან სხვა პრაქტიკული აქტივობის შემთხვევაში — აბიტურიენტი, აქტივობაში ერთვება მხოლოდ პედაგოგის ან პასუხისმგებელი პირის მითითებით და საჭირო გახურების შესრულების შემდეგ; დაუშვებელია არასაკმარისად გახურებული სხეულით ინტენსიურ ან ტექნიკურად რთულ მოძრაობებზე პირდაპირ გადასვლა.

4.4. მეცადინეობა იწყება ორგანიზმის თანდათანობითი მომზადებით — ზოგადი და სპეციალური გახურებით, რომელიც შეესაბამება შემდგომი დატვირთვის ხასიათს.

4.5. გახურებისას დაუშვებელია ცივ სხეულზე მკვეთრი, აგრესიული გაწელვა ან მაღალი ინტენსივობის მოძრაობების შესრულება.

5. უსაფრთხოების მოთხოვნები პრაქტიკული მეცადინეობის მიმდინარეობისას

5.1. სტუდენტი და აბიტურიენტი ასრულებენ მხოლოდ პედაგოგის ან პასუხისმგებელი პირის მიერ განსაზღვრულ მოძრაობებს, სავარჯიშოებსა და ქორეოგრაფიულ დავალებებს, ტექნიკური სირთულისა და საკუთარი მომზადების დონის გათვალისწინებით.

5.2. ჯგუფური მოძრაობისას სტუდენტები და აბიტურიენტები იცავენ უსაფრთხო დისტანციას ერთმანეთისგან, სარკისგან, ძელისგან, კედლისგან და სხვა ობიექტებისგან, რათა თავიდან აიცილონ შეჯახება.

5.3. რთული მოძრაობები, მაღალი სირთულის ნახტომები, ბრუნები, პარტნიორული ელემენტები, აწევები და სპეციალური რეკვიზიტის გამოყენება სრულდება მხოლოდ პედაგოგის მითითებითა და მეთვალყურეობით; საჭიროების შემთხვევაში გამოიყენება შესაბამისი დაზღვევა/დახმარება.

5.4. დატვირთვა იზრდება თანდათანობით. პედაგოგი ითვალისწინებს სტუდენტის მომზადების დონეს, სასწავლო ეტაპს, მოძრაობის ტექნიკურ სირთულესა და ჯგუფის მუშაობის უსაფრთხო ორგანიზებას.

5.5. ტკივილის, თავბრუსხვევის, სისუსტის, ტრავმის ან სხვა უჩვეულო ფიზიკური შეგრძნების შემთხვევაში სტუდენტი ან აბიტურიენტი წყვეტს შესაბამის მოძრაობას და დაუყოვნებლივ აცნობებს პედაგოგს ან პასუხისმგებელ პირს.

5.6. დაუშვებელია სხვა სტუდენტის ყურადღების განზრახ გაფანტვა, ხელის შეშლა, ბიძგი, თვითნებური სირბილი ან ისეთი მოქმედება, რომელიც ზრდის ტრავმის რისკს.

5.7. მუსიკალურ ინსტრუმენტებთან, აუდიოტექნიკასთან, განათების ან სხვა ტექნიკურ მოწყობილობასთან მუშაობა ხორციელდება პედაგოგის ან პასუხისმგებელი პირის მითითებით.

5.8. ფოტო- და ვიდეოგადაღება სასწავლო პროცესში ხორციელდება უნივერსიტეტში მოქმედი წესებისა და პედაგოგის მითითების შესაბამისად ისე, რომ არ დაირღვეს უსაფრთხო მოძრაობა და სასწავლო პროცესი.

6. ტრავმის პრევენცია და ჯანმრთელობის დაცვა

6.1. ტრავმის პრევენციის საფუძველია სათანადო გახურება, მოძრაობის ტექნიკის თანმიმდევრული ათვისება, უსაფრთხო დისტანცია, შესაბამისი ფეხსაცმელი და ტანსაცმელი, დატვირთვის თანდათანობით ზრდა და საკუთარი სხეულის მდგომარეობის მიმართ ყურადღება.

6.2. აგრესიული გაწელვები, დინამიკური გაწელვები და მაღალი ამპლიტუდის მოძრაობები სრულდება მხოლოდ სათანადო გახურების შემდეგ და პედაგოგის მეთვალყურეობით.

6.3. პედაგოგი ან პასუხისმგებელი პირი არ ავალდებულებს სტუდენტს ან აბიტურიენტს ისეთი მოძრაობის შესრულებას, რომლისთვისაც პირი მოცემულ ეტაპზე ტექნიკურად ან ფიზიკურად სათანადოდ მომზადებული არ არის.

6.4. ინტენსიური პრაქტიკული მუშაობისას გათვალისწინებული უნდა იყოს მიზნობრივი შესვენება და წყლის მიღების შესაძლებლობა, რათა თავიდან იქნეს აცილებული გადაღლა და უსაფრთხოების რისკის ზრდა.

6.5. მეცადინეობის დასასრულს რეკომენდებულია დატვირთვის თანდათანობით შემცირება და მოსადუნებელი/აღდგენითი სავარჯიშოების შესრულება.

6.6. სტუდენტის მიერ საკუთარი ფიზიკური შესაძლებლობების გააზრება, რისკის დროული ამოცნობა და პედაგოგისთვის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება განიხილება პროფესიული პასუხისმგებლობისა და თვითორგანიზების ნაწილად.

7. სანიტარიულ-ჰიგიენური მოთხოვნები

7.1. ქორეოგრაფიული დარბაზი რეგულარულად უნდა ნიავდებოდეს და სუფთავდებოდეს უნივერსიტეტში მოქმედი სანიტარიული წესების შესაბამისად.

7.2. საცეკვაო იატაკი, ძელი, ხშირად შეხებადი ზედაპირები და საერთო გამოყენების ინვენტარი უნდა იყოს სუფთა და უსაფრთხო გამოყენებისთვის.

7.3. გასახდელებში დაცული უნდა იყოს სისუფთავე და წესრიგი; ტანსაცმელი, ფეხსაცმელი და პირადი ნივთები თავსდება მათთვის განკუთვნილ სივრცეში.

7.4. საერთო გამოყენების რეკვიზიტი და კოსტიუმი გამოიყენება ჰიგიენური მოთხოვნების დაცვით; გამოყენების შემდეგ იგი ბრუნდება განსაზღვრულ ადგილზე.

7.5. საცეკვაო იატაკზე სითხის დაღვრის ან სხვა დაბინძურების აღმოჩენისას აქტივობა შესაბამის ზონაში წყდება მანამდე, სანამ საფრთხე არ აღმოიფხვრება.

8. ტრავმისა და საგანგებო სიტუაციის შემთხვევაში მოქმედება

8.1. ტრავმის შემთხვევაში აქტივობა დაუყოვნებლივ წყდება დაზიანებულ ზონაში. დაზარალებული ან თვითმხილველი აცნობებს პედაგოგს/პასუხისმგებელ პირს.

8.2. პირველადი დახმარება ხორციელდება შესაბამისი კომპეტენციის ფარგლებში. საჭიროების შემთხვევაში ხდება უნივერსიტეტის შესაბამისი სამსახურის ინფორმირება და/ან გადაუდებელი დახმარების ნომერზე 112 დაკავშირება.

8.3. დაუშვებელია დაზარალებულისთვის ისეთი სამედიცინო ჩარევის ან მედიკამენტის თვითნებურად შეთავაზება/მიცემა, რომელიც სცდება პირველადი დახმარების გამწევი პირის კომპეტენციას.

8.4. ხანძრის, ელექტროენერგიის ავარიული გათიშვის, წყლის შემოსვლის, მიწისძვრის ან სხვა საგანგებო ვითარებისას პედაგოგი წყვეტს მეცადინეობას და მოქმედებს უნივერსიტეტის საგანგებო სიტუაციებზე რეაგირებისა და ევაკუაციის მოქმედი წესის შესაბამისად.

8.5. ელექტრო მოწყობილობის გაუმართაობის, კვამლის ან აალების შემთხვევაში მოწყობილობასთან თვითნებური ტექნიკური ჩარევა დაუშვებელია; საფრთხის ზონა თავისუფლდება და დაუყოვნებლივ ეცნობება პასუხისმგებელ სამსახურს.

8.6. ევაკუაციისას ყველა პირი ასრულებს პასუხისმგებელი პირის მითითებებს და ტოვებს სივრცეს განსაზღვრული საევაკუაციო მარშრუტით.

9. მეცადინეობის დასრულების შემდეგ

9.1. მეცადინეობის დასრულების შემდეგ სტუდენტები და პედაგოგი აწესრიგებენ გამოყენებულ ინვენტარსა და რეკვიზიტს და ტოვებენ საცეკვაო სივრცეს თავისუფალსა და უსაფრთხო მდგომარეობაში.

9.2. პასუხისმგებელი პირი უზრუნველყოფს ელექტრო/აუდიო მოწყობილობებისა და განათების გამორთვას შესაბამისი წესით.

9.3. საჭიროების შემთხვევაში დარბაზი ნიავდება; გამოვლენილი ტექნიკური, სანიტარიული ან უსაფრთხოების ხარვეზი ეცნობება შესაბამის პასუხისმგებელ სამსახურს.

9.4. მეცადინეობის დასრულების შემდეგ სტუდენტი იცავს პირადი ჰიგიენის მოთხოვნებს და ტოვებს გასახდელს მოწესრიგებულ მდგომარეობაში.

10. პასუხისმგებლობა, წესების გაცნობა და ხელმისაწვდომობა

10.1. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი ვალდებულია სტუდენტებს გააცნოს წინამდებარე წესები პრაქტიკული სასწავლო პროცესის დაწყებისას. აბიტურიენტებს უსაფრთხოების ძირითადი წესები ეცნობებათ შემოქმედებით ტურში ან სხვა პრაქტიკულ აქტივობაში ჩართვამდე. საჭიროების შემთხვევაში უსაფრთხოების ინსტრუქცია განმეორებით მიეწოდება მონაწილეებს კონკრეტული აქტივობის წინ.

10.2. სტუდენტი და აბიტურიენტი პასუხისმგებელი არიან უსაფრთხოების მითითებების შესრულებაზე, საკუთარი ქცევის კონტროლზე, ინვენტარისა და სასწავლო გარემოს გაფრთხილებაზე და საფრთხის შესახებ დროულ შეტყობინებაზე.

10.3. უსაფრთხოების მოთხოვნის დარღვევის შემთხვევაში პედაგოგი ან პასუხისმგებელი პირი უფლებამოსილია შეაჩეროს სტუდენტის ან აბიტურიენტის კონკრეტულ აქტივობაში მონაწილეობა მანამდე, სანამ უსაფრთხოების რისკი არ აღმოიფხვრება.

10.4. წესების განმეორებითი ან არსებითი დარღვევის შემთხვევაზე რეაგირება ხორციელდება უნივერსიტეტში მოქმედი შიდა რეგულაციების შესაბამისად.

10.5. დოკუმენტი პერიოდულად გადაიხედება პროგრამის განვითარების, მატერიალურ-ტექნიკური გარემოს ცვლილების, მოქმედი რეგულაციების ან დარგობრივი მოთხოვნების განახლების შემთხვევაში.

დოკუმენტის შესაბამისობის საფუძვლები

- საქართველოს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო — მე-6 დონე: ცოდნისა და უნარების პასუხისმგებლობით და ავტონომიურად გამოყენების, თვითორგანიზებისა და პროფესიული პასუხისმგებლობის პრინციპები.
- ქორეოგრაფიის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი (დამტკიცებული 12.08.2022, ბრძანება MES 2 22 0000897360): მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესაბამისობა უსაფრთხოების მოქმედ სტანდარტებთან; ქორეოგრაფიულ დარბაზში ერთ სტუდენტზე არანაკლებ 4 კვ.მ; შესაბამისი საცეკვაო იატაკი, ძელი და სარკეები; უსაფრთხოებისა და ჰიგიენის პროფესიული ნორმების არსებობა; დარბაზის განიავება, სისუფთავე, განათება, აპარატურის გამართულობა, სამუშაო ტემპერატურა, შესაბამისი ტანსაცმელი/ფეხსაცმელი, გახურება, დისტანცია და რთული მოძრაობების პედაგოგის მეთვალყურეობით შესრულება.
- უნივერსიტეტში მოქმედი შიდა რეგულაციები: საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების, ევაკუაციის, შრომის უსაფრთხოების, სანიტარიული და პირველადი დახმარების წესები — შესაბამის ნაწილში.